**ამხანაგო ფიზკულტურელებო, სპორტსმენებო! ახალი, 1962 წელი აღვნიშნოთ მასობრივი მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლით, სპორტული ოსტატობის შემდგომი ამაღლებით!**


3 იანვარი
ოთხშაბათი,
№ 2 (1853)
1962 წ.
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო


# საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

ძვირფასო თანამემამულენო, მეგობრებო და ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ ახალ წელს. მხურვალედ გისურვებთ ახალ წელს ჯანმრთელობას, ახალ გამარჯვებებს ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის სასახელო შრომაში. დაე ახალი წელი იყოს კიდევ უფრო ბედნიერი და წარმატებითი ყოველი თქვენგანისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის.

1961 წელს კეთილად მოვიხსენიებთ. იგი კაცობრიობის მატიანეში შევა როგორც წელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობისა, რომელმაც მიიღო პარტიის ახალი პროგრამა — მეოცე საუკუნის კომუნისტური მანიფესტი.

სიამაყითა და სიხარულით გადავხედავთ გასულ წელს, რწმენით შევყურებთ მომავალ წელს.

ჩვენი მძლავრი სამშობლო შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნით იწყებს ახალ წელს. საბჭოთა ხალხი სძლევს სულ ახალ და ახალ სიმაღლეებს, წარმატებით ასრულებს შვიდწლიან გეგმას, ახორციელებს კომუნიზმის აშენების დიად პროგრამას.

ჩვენ ვაგებთ კომუნიზმის დიდებულ შენობას მტკიცე ეკონომიურ საფუძველზე. ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ადამიანების ნებით გადაიქცა დიდ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. 1961 წელს მრეწველობამ გამოუშვა იმდენი პროდუქცია, რამდენიც მთელი ომისშემდგომი პირველი ხუთწლედის განმავლობაში.

სასახელოდ იმუშავეს შარშან სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. მათ სახელმწიფოს ბეღლებში 320 მილიონი ფუთით მეტი პური შეინახეს, ვიდრე 1960 წელს.

გასული წელი აღინიშნა საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, სოციალისტური კულტურის დიდი მიღწევებით. მთელი მსოფლიო განაცვიფრა საბჭოთა კოსმონავტების, ჩვენი სამშობლოს ერთგული შვილების, კომუნისტების იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის უმაგალითო გაფრენებმა. საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითმა გენიამ გაკაფა გზა მთვარისაკენ, გზა კოსმოსის სივრცეებისაკენ.

წლითიწლობით უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. დაახლოებით ორმოცდაათმა მილიონმა ადამიანმა, ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედმა, მიიღო უკანასკნელ ხუთ წელიწადში ახალი ბინა! ყველაფერი, რაც კეთდება ჩვენს ქვეყანაში, ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის კეთდება. საბჭოთა ხალხი არ კმაყოფილდება მიღწეულით, იგი ფართო და მტკიცე ნაბიჯით მიდის კომუნიზმისაკენ.

1961 წელი იყო მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შესანიშნავ გამარჯვებათა, რეაქციისა და ომის ძალებზე მშვიდობის ძალების გამარჯვებათა წელი.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ყველა საბჭოთა ადამიანი ურყევად იცავენ მტკიცე მშვიდობას დედამიწაზე. ამ კეთილშობილურ ბრძოლაში ჩვენთან ერთად მხარდამხარ მიდიან სოციალიზმის მოძმე ქვეყნები, დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

სოციალიზმის სამყაროს მძლავრი მატერიალური ბაზა აქვს აგრესორთა ასალაგმავად და ომის თავიდან ასაცილებლად. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, უახლესი თანამედროვე ტექნიკითა და პირველხარისხოვანი იარაღით აღჭურვილნი, ფხიზლად დგანან საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე.

პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ მაღლა აღმართა მშვიდობისათვის ბრძოლის დროშა. ახალ წელს რომ ვიწყებთ, ჩვენ ვეუბნებით ხალხებსა და სახელმწიფოებს: დაე მშვიდობა, თავისუფლება და ბედნიერება დედამიწაზე ყველა ადამიანის კუთვნილება გახდეს! დაე 1962 წელი ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების წელი გახდეს!

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავაც თანმიმდევრულად, მტკიცედ იბრძოლებენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის დედამიწაზე, განამტკიცებენ და განავითარებენ სოციალიზმის ქვეყნების ძმური თანამშრომლობის ურთიერთობას, მეგობრულ დახმარებას გაუწევენ ხალხებს, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური უღელი და დაადგნენ ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას.

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩვენს წინაშე დიდი და სახელოვანი გზაა. ახალ წელს ახალი დიადი საქმეები უნდა განვახორციელოთ. ისინი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალების მძლავრ მოზღვავებას იწვევენ, აღაფრთოვანებენ მას ახალი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში.

დიდება საბჭოთა ხალხს, მშრომელ, მებრძოლ, კომუნიზმის მშენებელ ხალხს!

გულითადად მივესალმებით და ყოველივე სიკეთეს ვუსურვებთ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებს!

შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ მთელი მსოფლიოს მშრომელებს მათს კეთილშობილურ ბრძოლაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის!

დაე ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა — კომუნიზმისათვის ბრძოლაში ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარი!

მოგილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ახალ ბედნიერებას, ძვირფასო ამხანაგებო!

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი** | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

## თასი გათამაშდება

ამ რამდენიმე დღის წინათ ვარშავაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონთა თასში მონაწილე ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების კენჭისყრა. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 19-მა კოლექტივმა. 1962 წლის 28 იანვრიდან 4 თებერვლამდე ჩატარდება შესარჩევი მატჩები. ფინალი ჩატარდება მაისში. ქალაქი, სადაც გაიმართება დასკვნითი შეჯიბრება, ჯერ არ არის დადგენილი.

## ჰასტინგსის ტურნირზე

1961 წლის ბოლო დღეს ჰასტინგსის საერთაშორისო ტურნირზე გაიმართა V ტური. გროსმაისტერმა ფლორმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ამერიკელ გროსმაისტერ ბისჰაიერთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ბოტვინიკს უკეთეს მდგომარეობაში აქვს გადადებული პარტია ინგლისელ ბარდენთან.

V ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში წინ იყვნენ ფლორი და ბისჰაიერი, რომლებსაც 3,5 ქულა ჰქონდათ თითოეულს. ბოტვინიკს 3 ქულა და ორი უკეთეს მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს (კლიგორიჩთან და ბარდენთან).

1 იანვარს ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ.



## „ლოკომოტივი" მოძრაობას იწყებს

აი უკვე რამდენიმე კვირაა მოსკოვის ჰოკეისტთა გუნდი — „ლოკომოტივი" ფაქტიურად გამორთულია საკავშირო ჩემპიონატის გრაფიკიდან. ამ ხნის მანძილზე გათამაშების ცხრილში მის გასწვრივ სრულიად უცვლელად გამოიყურებოდნენ ციფრები: 13 (თამაში), 13 (გამარჯვება), 0 (ფრე), 0 (დამარცხება), 77-18 (გატანილი და მიღებული შაიბები), 26 (ქულა). მაგრამ, ამ „უძრაობის" მიუხედავად, რკინიგზელთა სატურნირო მდგომარეობა მაინც შეიცვალა. კარგახანს ის მტკიცედ იდგა ცხრილის სათავეში, მაგრამ უკანასკნელ დროს მისი ადგილი გასული წლის ჩემპიონმა — ცსკა-მ დაიკავა. არმიელების ეს წარმატება ჯერჯერობით მხოლოდ ჩემპიონატის კალენდრის „წყალობის" შედეგია. სანამ „ლოკომოტივი" უძრავად იდგა ერთ ადგილას, ცსკა-მ ჩაატარა გრძელი ტურნე ციმბირში და შემდეგ — შუა რუსეთის ოლქებში, ითამაშა „ლოკომოტივზე" შვიდი თამაშით მეტი და გადაუსწრო მას მხოლოდ 7 ქულით. მაშინ, როცა რკინიგზელებს ჯერ არ დაუკარგავთ არცერთი ქულა, არმიელებმა სამჯერ იწვნიეს დამარცხება, ერთხელ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა და ამრიგად, დაკარგეს 7 ქულა. ამ ნიშნით ცსკა-ზე უკეთესი მდგომარეობა აქვს მოსკოვის „სპარტაკსაც", რომელმაც 16 თამაშის შემდეგ დააგროვა 28 ქულა და დაკარგული აქვს 4. უკანასკნელ დრომდე ასევე უკეთესი შანსები ჰქონდათ მოსკოვის გუნდებს „დინამოს" და „კრილია სოვეტოვს", მაგრამ ბოლო დამარცხებებმა („დინამოსი" — გორკის „ტორპედოსთან" — 3:4, „კრილია სოვეტოვისა" — ვოსკრესენსკის „ხიმიკთან" — 1:4) ორივე გუნდი უკვე პოტენციურადაც ჩამოაქვეითა შარშანდელ ჩემპიონთან შედარებით. ორივეს 25-26 ქულა აქვს 17 თამაშის შემდეგ.

ახლახანს ჩემპიონატის თამაშებში ისევ ჩაერთო მოსკოვის „ლოკომოტივი". მან კვლავ მაღალ დონეზე ჩაატარა თამაში „ელექტროსტალთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 7:2.

დღეს მოსკოვში შედგება ჩემპიონატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მატჩი „სპარტაკსა" და „კრილია სოვეტოვს" შორის.

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხეკურსელები პრაქტიკას გადიან თბილისის სხვადასხვა საწარმოების ფიზკულტურულ კოლექტივებში.**

**სურათზე: ფიზკულტპაუზას კიროვის სახელობის ჩარხსაშენ ქარხანაში ატარებს მეოთხეკურსელი ი. ხკიბა.**



★

თბილისის საკონდიტრო კომბინატში ფიზკულტურული მუშაობა განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს ძლიერ გააქტიურდა. ამაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა-პრაქტიკანტებმა. **მარცხენა სურათზე** თქვენ ხედავთ სტუდენტ - პრაქტიკანტებს კომბინატის მეთოდისტ გ. ნაცვალაძესთან ერთად. **მარჯვნივ** — ფიზკულტპაუზა კომბინატის საამქროში.

ფოტო ვ. გოგაძისა.



★

# ნაყოფიერი პრაქტიკა

დასასრულს უახლოვდება საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა ორთვენახევრიანი საორგანიზაციო პედაგოგიური პრაქტიკა, რომელსაც ისინი დედაქალაქის საწარმოების ფიზკულტურულ კოლექტივებსა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებში გადიან.

თბილისის საკონდიტრო კომბინატში ყოველგვარი პირობები დახვდათ სტუდენტებს მასობრივი მუშაობის გაშლისათვის. პრაქტიკის პირველივე დღეებიდან სტუდენტები აქტიურად ჩაებნენ კომბინატის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ახლოს გაეცნენ საწარმოო პროცესს. სტუდენტების საქმიანობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. მათი ინიციატივით გაიზარდა საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულ საამქროთა რიცხვი. ყოველდღიურად ტარდება გამამხნევებელი ვარჯიშები საწარმოო პროცესის დაწყების წინ და ფიზკულტპაუზები.

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ახალგაზრდობამ ინსტიტუტის კლუბში შეხვედრა მოუწყო თბილისის საკონდიტრო კომბინატისა და ამ კომბინატში საორგანიზაციო პედაგოგიურ პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტ-პრაქტიკანტთა ბრიგადას. შეხვედრაზე შეჯამდა პრაქტიკის შედეგები.

**გ. ნაცვალაძე,**

**საკონდიტრო კომბინატის ინსტრუქტორ-მეთოდისტი,**

**თ. ბაჩეჩილაძე,**

**სტუდენტ-პრაქტიკანტთა ბრიგადის ბრიგადირი.**

# საჭიროა გადახალისება

დამთავრდა საფეხბურთო სეზონი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. ახლა წარმოებს განვლილ შეჯიბრებათა შედეგების შეჯამება და ფეხბურთის საქალაქო სექციას დიდი სამუშაოს ჩატარება მოუხდება არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ჯერ კიდევ საკმაოდ აქვს ადგილი: თბილისის გუნდები წარუმატებლად გამოდიან საქართველოს პირველობაზე I და II ჯგუფებში, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მსაჯთა გამსინჯავი კომისიები, კოლექტივებში არასათანადოდ წარმოებს სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა, არაორგანიზებულ ხასიათს ატარებს მსაჯებისა და მწვრთნელების მოსამზადებელი და გადასამზადებელი სემინარები და ა. შ.

დასამალი არაა, რომ ჩვენს ქალაქში ცუდად დგას ოსტატთა გუნდების, კერძოდ, თბილისის „დინამოსათვის“ საჭირო კადრების აღზრდის საქმე. ეს ძირითადად უნდა აიხსნას იმით, რომ მასობრივი ფეხბურთი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გაშლილი სპორტსაზოგადოებებსა და სკოლებში. საგრძნობ გადახალისებას საჭიროებს ფეხბურთის საქალაქო სექციის ყველა რგოლის: მსაჯთა კოლეგიის, მწვრთნელთა საბჭოსა და სპორტულ-ტექნიკური კომისიის მუშაობა.

ჩემის აზრით, საჭიროა 1962 წლის ღონისძიებათა კალენდრის გარდაქმნა იმ მიმართებით, რომ ყველა შეჯიბრებას თავი მოვუყაროთ უშუალოდ ქალაქის სექციაში. უნდა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ქალაქის პირველობა ჯგუფების მიხედვით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა შეჯიბრებებში გამარჯვებული ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის.

2. შეჯიბრება სეზონის გახსნის პრიზზე ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა წარდგინებით.

3. სპორტსაზოგადოებათა გუნდების საკლუბო პირველობა მოზარდთა შორის.

4. სპეციალიზებულ სპორტსკოლათა შეჯიბრება.

5. შეჯიბრება ქალაქის თასზე რაიონებში გამარჯვებულ გუნდებს შორის.

6. კონსტიტუციის სახელობის თასი სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გამარჯვებულ გუნდებს შორის.

7. სსრ კავშირის თასი ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის.

8. პირველი ჯგუფის გუნდების შეჯიბრება ნორმატივებში.

9. შეჯიბრებები მსაჯთა შორის.

10. ქ. თბილისის ნაკრები გუნდის ამხანაგური შეხვედრები სხვა ქალაქების გუნდებთან.

მოსწავლეთა შეჯიბრებებს საშუალო სკოლების გუნდებს შორის უშუალოდ ატარებს განათლების განყოფილება, ხოლო ღონისძიებები ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის ხორციელდება სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში. ფეხბურთის საქალაქო სექციას ეკისრება საზოგადოებრივი კადრების სწავლების ორგანიზაცია, აგრეთვე მსაჯთა ჯგუფების შექმნა სპორტსაზოგადოებებსა და მსხვილ კოლექტივებში.

**გ. ჩხიკვაძე,**

**თბილისის საფეხბურთო სექციის პრეზიდიუმის წევრი.**

# კარგს მეტი მოეთხოვება

როსტოვში გამართულ ცხენოსანთა საკავშირო პირველობაზე „ხალდეიმ“ მესამემ გადაკვეთა 6000-მეტრიანი სტიპლ-ჩეზის ფინიშის ხაზი და ო. ხანდრავას ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

„რანგმა“ 10-კილომეტრიან მარულაში უკანასკნელ მეტრებზე ჩამოიტოვა თბილისელთა „პალიასტომი“ და ო. ხაინდრავა პირველ ადგილზე გაიყვანა. ეს უკვე საქართველოს პირველობაზე მოხდა, სადაც ცხენოსნობისათვის კარგად ცნობილმა „პატეფონმა“ 5-კილომეტრიან სტიპლ-ჩეზში გამარჯვებით დამატებითი ქულები შესძინა სოხუმელებს, „პოსეიდონმა“ კი ახალგაზრდა ცხენების სამჭიდში პირველი ადგილი და ოსტატობა მოუტანა დ. ხოფერიას.

სოხუმელთა მიერ დაკავებულ მეორე ადგილს ამ შეჯიბრებაზე მყარი საფუძველი ჰქონდა. სოხუმის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტულმა სკოლამ (დირექტორი შ. საჭინავა), რომელიც 35 კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას, ხელი შეუწყო ცხენების სათანადო გაწვრთნილობასა და მოვლას.

სკოლის ხელმძღვანელობა ჯეროვან ყურადღებას აქცევს სკოლის შევსებას ახალგაზრდა ცხენებით. უკანასკნელ ხანებში აქ შეიძინეს რამდენიმე კარგი ახალგაზრდა ცხენი.

ეს ყველაფერი მისასალმებელია, მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საცხენოსნო სკოლის პერსპექტივას საფრთხის წინაშე აყენებს. ესაა მხედართა კადრების მომზადებისა და ზრდის საკითხი, რაც სკოლაში ერთობ დაბალ დონეზეა დაყენებული.

საცხენოსნო სკოლის მწვრთნელები — ო. და ნ. ხაინდრავები, ვ. კუზმინი და მთავარი მწვრთნელი დ. ხოფერია მოქმედ სპორტსმენებს წარმოადგენენ. ისინი იცავენ რაიონის სპორტულ ღირსებას სხვადასხვა შეჯიბრებაზე, მაგრამ თავიანთ ცვლაზე ზრუნვა კი უკანა პლანზე აქვთ გადაწეული.

სკოლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 35 კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას, მწვრთნელებზე კი მთლიანად ათიოდე მოზარდია მიმაგრებული. პერსპექტივა არც თუ ისე სახარბიელოა. საკვირველია ისიც, რომ მწვრთნელებს პერსონალური დავალებები არა აქვთ, საზოგადოებრივი დატვირთვით კი არავინ მუშაობს.

წესით, აღნიშნული მწვრთნელი-სპორტსმენები უნდა მიემაგრონ რომელიმე მეზობელი კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ ხორციელდება.

მოუწესრიგებელია სააღრიცხვო მეურნეობაც. დ. ხოფერიას გარდა სამუშაო გეგმა არავის აქვს გაკეთებული. საცხენოსნო სკოლის ორი თავლიდან ერთი არაკაპიტალურია, რის შედეგადაც ხშირად აქვს ადგილი ცხენების ტრავმას. ახალი სახლის მშენებლობა მიტოვებულია და მის ნანგრევებში მოქცეული საცხენოსნო ინვენტარი და თივა ღია ცისქვეშ იმყოფება.

უარყოფითი ფაქტია ისიც, რომ სკოლას ცხენოსნური მანეჟი არ გააჩნია, მით უმეტეს, რომ აქ დაიწყეს მეცადინეობა თანამედროვე ხუთჭიდელებმა. ახალბედა სპორტსმენების ცხენებთან მუშაობა კი შემოღობვის გარეშე არა მარტო მიზანშეუწონელია, არამედ დაუშვებელიც.

სოხუმის საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტსკოლას ბევრი კარგი აქვს გაკეთებული, მაგრამ თუ ჩვენ ამჯერად ძირითადად მისი უარყოფითი მხარეები აღვნიშნეთ, ეს იმიტომ, რომ სკოლას შეუძლია არსებული ხარვეზების გამოსწორება და რესპუბლიკის ნაკრების მომარაგება გაწვრთნილი ცხენებითა და მომზადებული მხედრებით.

**გ. სამსონაძე**



რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა ბაკურიანში საქართველოს მოთხილამურეთა შეჯიბრება ჩვენი გაზეთის პრიზზე.

**სურათზე:** სლალომსა და გიგანტურ სლალომში გამარჯვებული ი. ჯანგობეგოვი სლალომის ტრასაზე.

# საპრიზო ადგილზე

საქართველოს სოფლის მოჭიდავეთა გუნდს 1961 წელს ჩატარებული მუშაობის შემოწმება ვიტებსკში მოუხდა კლასიკურ მოჭიდავეთა საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაზე.

ქართველ მოჭიდავეთა გუნდი პირველობის ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტს წარმოადგენდა, მაგრამ შეჯიბრებას აქვს გაუთვალისწინებელი სიურპრიზები:

საბჭოთა კავშირის უძლიერესმა მოჭიდავემ რ. რურუამ, რომლის იოლ გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მესამე წრეში ტრავმა მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა. წინა ორ წრეში მიღებულმა სუფთა გამარჯვებამ იგი მეშვიდე ადგილზე გაიყვანა. სამაგიეროდ, შეჯიბრებამ სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრებს ახალი პერსპექტული მოჭიდავე გააცნო საშუალო წონის სპორტსმენის ნ. ძიმისტარაშვილის სახით.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ წყალწმინდის მკვიდრმა ჭეშმარიტი სიამოვნება განაცდევინა მაყურებელს მოხდენილი, მრავალფეროვანი ფანდების ჩატარებით, რამაც მას დამსახურებულად მოუტანა პირველი ადგილი და ოქროს მედალი.

ნამდვილი სპორტსმენის საუკეთესო თვისებები გამოავლინა გ. ყაჭეიშვილმა, რომელმაც პირველ წრეში დამარცხების მიუხედავად დიდი მონდომებით ჩაატარა მომდევნო შეხვედრები და მეოთხე ადგილზე გასვლით მეტად საჭირო ქულები მოუტანა გუნდს.

საბოლოო შედეგების მიხედვით გუნდური ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა: ესტონეთი — 27 ქულა, უკრაინა — 32 ქულა და საქართველო—33 ქულა.

## სტუმრად არიან სუმგაითელები

ამას წინათ რუსთავს სტუმრად ეწვივნენ სუმგაითელი მეტალურგი სპორტსმენები. შეჯიბრება გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და ტყვიით სროლაში. სტუმრებმა მოიგეს ფეხბურთი ანგარიშით 3:1, დანარჩენი შეხვედრები კი წააგეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობა, რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო. რუსთავის მოჭიდავეებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2.

**უ. ფილიევი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაკურიანი, თეთრი ზამთარი...

ბაკურიანი, თეთრი ზამთარი,
გადათოვლილი მთები.
კლდისპირს მდებარე ლურჯი ნაძვები
გათეთრებული მხრებით:
ისევ იქა ვართ
თხილამურებზე ვდგებით.

გადავუქროლებთ მშობლიურ გორებს,
მუხლს გავიკაჟებთ თანაც,
გადავუქროლებთ ქვიან ბილიკებს
თეთრი თოვლი რომ ფარავს.
ვიცი გზადაგზა წამოგეწევი
ჩემო შავთვალა ქალავ.

იქნებ წამიხდეს კლდისპირს ნახტომი,
მუხლშიც დავკარგო ძალა,
იქნებ შემაწყდეს ფეხზე ბანდული,
და გამიტაცოს ქარმა.
იქნებ ვერ გამცნო გულის წადილი,
სიახლოვეც არ კმარა,

იქნებ სხვა არის შენი შავლეგო,
იქნებ არის და მალავ,
მაშინ წინასწარ მითხარ დალაი,
ჰაი, დედასა ქალავ...
ბაკურიანი, თეთრი ზამთარი,
გადათოვლილი მთები,

კლდისპირს მდებარე ლურჯი ნაძვები
გათეთრებული მხრებით.
ისევ იქა ვართ გულის სწორები,
თხილამურებზე ვდგებით.

ვალერიან ჟუჟიტაშვილი

# 5 წლის შესვენების შემდეგ

ხუთწლიანი შესვენების შემდეგ გორში მოეწყო რესპუბლიკის გუნდური პირველობა კრივში სპორტულ საზოგადოებათა ნაკრებ გუნდებს შორის. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს „ბურევესტნიკის", „განთიადის", „დინამოს", „სპარტაკისა" და არმიელთა სპორტკლუბის გუნდებმა.

რინგზე გამოდის კოლექტივების პირველი წყვილი: „განთიადი" და „სპარტაკი". პირველ მათგანს შეჯიბრების წინ უკვე 2 ქულა ჰქონდა მიღებული, ვინაიდან „სპარტაკმა" ვერ გამოიყვანა უმჩატესი და ქვემსუბუქი წონის მოკრივეები. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, სპარტაკელებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს შეჯიბრება და მხოლოდ ა. გელიზარაშვილის „გაუთვალისწინებელმა" დამარცხებამ არ მისცა მათ შეხვედრის მოგების საშუალება. „სპარტაკის" გუნდმა წააგო პირველივე ბრძოლა ანგარიშით 4:6 და დასტოვა ტურნირი. მან დაიკავა ბოლო, მეხუთე ადგილი.

ნახევარფინალში პირველად ერთმანეთს შეხვდნენ არმიის სპორტკლუბისა და „დინამოს" წარმომადგენლები. არმიელთა შორის არ იყო ქვემძიმე წონის მოკრივე, ხოლო დინამოელებს არა ჰყავდათ მონაწილეები მჩატე და მსუბუქ წონებში. ასე რომ, ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე არმიელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:1. მათ შემდგომში მოიგეს 7-დან 4 შეხვედრა, საბოლოო ჯამში გაიმარჯვეს ანგარიშით 6:4 და გავიდნენ ფინალში. თავიანთი ბრძოლები მოიგეს გ. ფერაძემ, ვ. პაპანდოპულომ, პ. ხარლამპიდიმ, გ. გოგლიძემ, ა. პოპოვმა, ვ. ლიაშჩენკომ და გ. მარკარიანმა.

მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ „ბურევესტნიკისა" და „განთიადის" კოლექტივები. ამ უკანასკნელმა ტრავმის გამო რინგზე ვერ გამოიყვანა სპორტის ოსტატი ნ. ქიქავა. „ბურევესტნიკმა" კი ბრძოლა დაიწყო მთლიანი შემადგენლობით და მოიგო კიდეც შეხვედრა — 9:1. მაყურებელთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია „განთიადის" მოკრივეთა საქციელმა, რომლებმაც აგდებულად ჩაატარეს ეს ბრძოლა. ისინი ადრევე შეეგუენ დამარცხებას და ძალები შემოინახეს „დინამოსთან" მესამე ადგილისათვის საბრძოლველად.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ბურევესტნიკისა" და არმიის სპორტკლუბის წარმომადგენლები. აქაც განმეორდა ამ შეჯიბრებისათვის ჩვეულებრივი ამბავი, არმიელმა სპორტსმენებმა ვერ გამოიყვანეს ერთი მოკრივე, ბურევესტნიკელებმა კი 2. მჩატე წონაში სტუდენტთა კოლექტივის წარმომადგენელმა ლ. მნაცაკანოვმა დაამარცხა არმიელი კ. ფაროიანი და გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მსუბუქი წონის მოკრივეების ჯ. კვანტალიანისა (სკა) და გ. ხორნეულის შეხვედრა, უმნიშვნელო უპირატესობით ბრძოლა მოიგო არმიელმა. პირველ და მეორე ქვესაშუალო წონებში გაიმარჯვეს „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა ვ. ჯობავამ (მან ქულებით დაამარცხა შ. ფაროიანი) და ო. ზებულაშვილმა (რომელმაც აშკარა უპირატესობით მოუგო ვ. ბიზიუკინს). დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა არმიელმა პ. ხარლამპიდიმ თ. კუპავაზე, სამაგიეროდ მეორე საშუალო წონაში ბურევესტნიკელმა მ. მამამთავრიშვილმა 3-რაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა ვ. კაკუტია.

მძიმე წონის მოკრივეთა შეხვედრის დაწყებამდე ანგარიში იყო 5:4 სტუდენტთა სასარგებლოდ. ნ. ამაშუკელმა („ბურევესტნიკი"), რომელიც ამჯერად მძიმე წონაში გამოდიოდა, პირველსავე რაუნდში მოუგო ბრძოლა არმიელ ვ. სააკიანს და ამით განუმტკიცა თავის გუნდს წარმატება. გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა" 6:4 და მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება (მწვრთნელი ვ. ძნელაძე). მეორე ადგილზე გამოვიდა არმიელთა გუნდი (მწვრთნელი ი. ცეცაძე), ხოლო მესამეზე — „განთიადის" კოლექტივი (მწვრთნელი მ. ბერიევი).

გუნდურმა ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ სპორტსმენები საკმარისად არ იყვნენ მომზადებული ამ საპასუხისმგებლო ღონისძიებისათვის. გუნდებს განაცხადში 15 მოკრივის შეყვანა შეეძლოთ, „დინამომ" და არმიელთა კოლექტივმა კი გორში 11-11 სპორტსმენი ჩამოიყვანეს, „ბურევესტნიკმა" — 12, ხოლო „სპარტაკმა" — 13. სწორედ ამიტომ გუნდები არასრული შემადგენლობით გამოდიოდნენ რინგზე. ეს იმასაც მოწმობს, რომ სპორტსაზოგადოებებს არ ჰყავთ მაღალი კლასის მქონე ოსტატთა საკმარისი რეზერვი.

არც ტექნიკის მხრივ გამოირჩეოდა სპორტსმენთა გამოსვლები. ბრძოლების უმეტესობა ძალისმიერ ხასიათს ატარებდა, იგი სანახაობრივადაც უეფექტო იყო და ოსტატობის მხრივაც. გუნდების ასეთი მომზადების დონე, რა თქმა უნდა, არ პასუხობს თანამედროვე კრივის მოთხოვნებს.

ა. ბაქრაძე,
სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ჭადრაკი
ქალაქებსა და რაიონებში

## თბილისი

სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პირველობამ ჭადრაკში, რომელშიც 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა, დიდი ინტერესი გამოიწვია ინსტიტუტის თანამშრომლებს შორის.

პირველობამ იმდენად დაძაბულად ჩაიარა, რომ ჩემპიონი ვერ გამოვლინდა. პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ბ. სუმბაძემ და ო. ალელელიშვილმა, რომლებმაც 10-10 ქულა მოაგროვეს. მესამე ადგილი წილად ხვდა ა. სოლომონიშვილს.

ა. შამუგია

• • •

დამთავრდა სპორტსაზოგადოება „განთიადის" საქალაქო პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდა ძირეული კოლექტივების ტურნირებში 22 გამარჯვებული მოჭადრაკე.

პირველი ადგილი დაიკავა ვ. მესროპოვმა (ელმავალმშენებელი ქარხანა), მეორე—გ. რუხაძემ (სპორტკლუბი „ფეიქარი"), მესამე — ნ. არუთინოვმა (ჰიდროელექტრომშენებლობის ტრესტი).

ი. ხაბეიშვილი



ბლიცის ტურნირზე 18 წლის ამერიკელმა ფიშერმა გატეხა „ყინული" საბჭოთა მოჭადრაკეებთან შეხვედრებში. თუ ადრე მათთან მხოლოდ ყაიმს აღწევდა, ბლიცში მან გამოჩენილ საბჭოთა გროსმაისტერებთან შეხვედრებში 3,5 ქულა მოაგროვა — მოუგო ტალს, პეტროსიანს, გელერს და ყაიმით დაამთავრა პარტია კერესთან. ეს კიდევ ერთხელ გვაჯერებს მ. ბოტვინიკის სიტყვების სიმართლეში, რომ უახლოეს წლებში ფიშერი მსოფლიო ჩემპიონობის ყველაზე სერიოზული მეტოქე იქნება დასავლეთიდან.

ტალთან პარტიაში ფიშერმა გამოამჟღავნა საუცხოო თეორიული მომზადება. საკმარისი იყო ტალის ერთი შეცდომა, რომ ამერიკელმა მტკიცედ ხელთ იგდო ინიციატივა და პარტია ავტომატურად მიიყვანა მოგებამდე.

ინჟინრები კ. ჯიბლაშვილი, რ. კაკაურიძე, რ. ყორანაშვილი და ტ. ჯობავა გვთხოვენ გავაცნოთ გროსმაისტერ რ. ფიშერის მოგებული პარტიები მ. ტალსა და ტ. პეტროსიანთან ბლიცის საერთაშორისო ტურნირზე.

### რ. ფიშერი — მ. ტალი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 e6 5. მc3 ლc7 6. g3 მf6.

ეს შეცდომაა. აი რას წერს ამის შესახებ ტალი: „ამ მდგომარეობაში ბლანკზე ჩავიწერე 6. ...a6 და გონების თვალი გადავავლე ვარიანტს 7. კg2 მf6 8. 0—0 მ:d4 9. ლ:d4 კc5 და ა. შ., დაჯერებულად გავაკეთე სვლა და კმაყოფილი ვუცქირობდი სცენაზე. რამოდენიმე წამის შემდეგ სადემონსტრაციო დაფაზე შევამჩნიე ფიშერის პასუხი 7. მdb5. ეს კიდევ რა შეწირვაა,— გავიფიქრე, მაგრამ „მოჩვენება" მალე გამეფანტა. როცა მივხვდი შეცდომას— ხვა სვლა გამიკეთებია." ტალის პარტია ძალიან მძიმეა.

7. მdb5 ლb8 8. კf4 მe5 9. მe2! კc5 10. კ:e5 ლ:e5 11. f4 ლb8 12. e5 a6 13. ef ab 14. fg ეg8 15. მe4 კe7 16. ლd4.

პარტია უკვე წაგებულია. ტალი თავის ჟურნალში ამ მდგომარეობის შემდეგ აღნიშნავს, რომ პარტიის თამაში ძალიან უსიამოვნო იყო. პარტია გაგრძელდა ასე.

16. ...ეa4 17. მf6+ კ:f6 18. ლ:f6 ლc7 19. 0—0—0! ე:a2 20. მფb1 ეa6 21. კ:b5 ეb6 22. ეd3 e5 23. fe ე:f6 24. ef ლc5 25. კ:h7 ლg5 26. კ:g8 ლ:f6 27. ეhf1 ლg7 28. კf7+ მფd8 29. კe6 ლh6 30. კ:d7 კ:d7 31. ეf7 ლ:h2 32. ეd:d7+ მფe8 33. ეed7+ მფd8 34. ეd7+ მფe8 35. ეc7 b5 36. ეb7 ლh5 37. g4 ლh3 38. g5 ლf3 39. ეe1+ მფf8 40. ე:b5 მფg7 41. ეb6 ლg3 42. ეd1 ლc7 43. ეd6 ლc8 44. b3 მფh7 45. ეa6 ტალი დანებდა.

პეტროსიანთან ამერიკელმა პოზიციურად უარესი თამაში მიიღო. საბჭოთა გროსმაისტერი მეთოდურად ავიწროებდა მას. ფიშერმა საყაიმო შანსების ძებნა არჩია დაბოლოებაში და თამაშიც გამარტივდა. შავების 23-ე სვლისთვის დაფაზე შეიქმნა ასეთი მდგომარეობა: (იხ. დიაგრამა).

პეტროსიანს უკეთესი შანსები გააჩნია. საჭიროა ეტლების შეერთება და იერიში ლაზიერის ფრთის თეთრ პაიკებზე. პარტიაში კი ბრძოლამ მოულოდნელი მიმართულება მიიღო.



ო. ხიმშიაშვილი

23. ...მფe7 (უკეთესი იყო 23. ...ეc8) 24. c6! ეd6 25. ეhe1 ე:c6 26. ეe5 ეa8 27. კe4.

ფიშერი აიძულებს კუ გაიცვალოს მხედარზე და იქმნება საყაიმო დაბოლოება. ამიტომ პეტროსიანი თავაზობს მას ყაიმს, რასაც ფიშერმა უარით უპასუხა და პეტროსიანი პასუხობს:

27. ...ეd6?? 28. კ:a8

პეტროსიანის პოზიცია უიმედოა. 28. ...ეd + 29. მფc2 ეf1 30. ე:a5 ე:f2+ 31. მფb3 ეh2 32. c5 მფd8 33. ეb5 ე:h3 34. ეb8+ მფc7 35. ეb7+ მფc6 36. მფc4 და პეტროსიანი დანებდა.





სურათებზე: (ზემოთ) ქუთაისის მოკრივეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ი. მარქაროვი რაუნდებს შორის შესვენებაზე რჩევა-დარიგებას აძლევს ჯ. კვანტალიანს. (ქვევით) ჯ. კვანტალიანისა და ბელორუსი მოკრივის ლ. მარშაკის შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

# დაიწყო II წრე

ესპანეთის 1961-62 წლების ჩემპიონატში დაიწყო მეორე წრე. მას შემდეგ, რაც „ბარსელონა“ საგრძნობლად დასუსტდა და აღარ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს „რეალს“, მადრიდელები მოსწყდნენ მეტოქეებს. 16 წრის შემდეგ „რეალს“ 27 ქულა აქვს და 4 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „ატლეტიკოს“ (მადრიდი), ხოლო მესამე ადგილზე მყოფ „სარაგოსას“ მხოლოდ 21 ქულა აქვს.

„ბარსელონამ“ კიდევ ერთი დამარცხება განიცადა, ამჯერად „სევილიასთან“—0:1 და საპრიზო ადგილების დაკავების შანსები აღარ აქვს.





თბილისის ჩემპიონატი ჭადრაკში, სადაც 40-ზე მეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა, მოეწყო შვეიცარული სისტემით. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ოსტატობის კანდიდატმა გ. ეგიაშვილმა. შემდეგ ადგილებზე გამოვიდნენ ვ. ლობჟანიძე, ე. მიქაელიანი, ა. წერეთელი, მ. მაჭავარიანი, ვ. დუგლაძე, ს. ელბაქიძე, ე. გერსამია, რომლებმაც ჩემპიონთან ერთად მოიპოვეს საქართველოს 1962 წლის პირველობაში მონაწილეობის უფლება.

**სურათებზე** თქვენ ხედავთ ჩემპიონატის მონაწილეებს შეჯიბრების დროს: (მარცხნივ) თბილისის 1924 წლის ჩემპიონს ვ. ალამალიანსა და პირველთანრიგოსან მ. პაიჭაძეს, (მარჯვნივ) ტურნირის ახალგაზრდა მონაწილეებს — ვ. პაპიაშვილსა და ხ. მალხასიანს.

ფოტო გ. თარალაშვილისა.



# ფეხბურთი არგენტინულად

## ძმები ტურები

— დიახ, სენიორებო, ჩვენთან, არგენტინაში, არ იმართება ხარების ბრძოლა! მერე რა? განა ეს იმას ნიშნავს, რომ არგენტინელებს ნაკლები სპორტული ტემპერამენტი გვაქვს, ვიდრე ჩვენს სამხრეთ-ამერიკელ თანამოძმეებს? — სრულებითაც არა, პირიქით. ეს თავდავიწყებით გატაცება მიმართულია სხვა საგნისადმი. მერწმუნეთ, სენიორებო, ხარების ბრძოლა არგენტინული ფეხბურთის გვერდით ისე უწყინრად გამოიყურება, როგორც მაგიდის ჩოგბურთი!

ასე გვეუბნებოდა ერთი ჩვენი ნაცნობი ეკვადორის იქითა მხარეს.

გაგვახსენდა მისი სიტყვები, როცა ბუენოს-აირესის სტადიონი ვნახეთ. ამვეებერთელა ბეტონის ნაგებობას ხალხი თითქმის ალერსით უწოდებს: „ბონბონიორა“.

მისი შიგა მხარე უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს ევროპელზე. ფეხბურთის მოედანი გარშემორტყმულია ღრმა, ბეტონირებული თხრილით და მაყურებლისაგან გადაღობილია გიგანტური ფოლადის ცხაურით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, სპორტული სარბიელი კი არა, თითქოს გარეული აფრიკული ლომების გალიააო. და ამის მიუხედავად, ეს საფორტიკაციო სიმაგრე თურმე უძლურია დაიოკოს არგენტინელი მაყურებლის ყოვლისმომსრველი გატაცება. გათვალისწინებულია აგრეთვე გულშემატკივართა შორის შესაძლო ჩხუბის ამბებიც. ამიტომ, ტრიბუნები დაყოფილია ერთმანეთისაგან მავთულხლართით გადაღობილ უბნებად. როგორც ამბობენ, მატჩის დროს მასში უშვებენ ელექტროდენს, მართალია, სუსტ ძაბვისას. მავთულხლართთან, რომელსაც ალამბრადოს უწოდებენ, მორიგეობენ მეხანძრეები ბრანდსპოიტებით ხელში და ცრემლმდენი ბომბებით შეიარაღებული პოლიციელები. განსაკუთრებული სენსაციური მატჩის დროს შესასვლელთან ჰკიდია პლაკატი: „ცარიელი ბოთლებისა და ცეცხლმსროლი იარაღის ჩაბარება სავალდებულოა!!!“.

სამწუხაროდ, „ბონბონიორაზე“ ჩვენ ვერ დავესწარით თამაშს, მაგრამ საღამოს გაზეთში, „სპორტის“ განყოფილებაში, წავიკითხეთ ეპიკური შენიშვნა:

„შეხვედრა ფეხბურთში, რომელიც კვირას გაიმართა კლუბ „ვიქტორიას“ გუნდსა და ბრაზილიის გუნდს „კრუს დე მალთას“ შორის, ჩატარდა უხალისოდ და უინტერესოდ. საავადმყოფოში გაგზავნეს მხოლოდ თოთხმეტი მაყურებელი, ისიც მსუბუქი დაზიანებებით. პოლიციელებმა ისროლეს მხოლოდ ორი ცრემლმდენი ბომბი... მარცხენა გარემარბმა ხუან ვილიამ თავი ისე სუსტად ჰკრა მუცელში მეკარე პრადეროს, რომ ის არც შებარბაცებულა“...

შენიშვნას ლაკონური და ამომწურავი სათაური ჰქონდა: „ბავშვები ცხვრების წინააღმდეგ“.

• • •

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ ვერ დავესწარით თამაშს დედაქალაქში, მაგრამ რამდენიმე დღის მოგვიანებით მაინც ვნახეთ შეჯიბრება ფეხბურთში ორ პროვინციულ გუნდს შორის. შესაძლებელია, ეს შეხვედრა ნაკლებ ზარზეიმური და სენსაციური სანახაობა იყო, მაგრამ არგენტინელი გულშემატკივრის სული მასში ნაკლები სისრულით როდი გამომჟღავნდა.

ეს ასე მოხდა:

ძველმოდური, რახრახა და დამტვერილი მატარებლით ქალაქ კორდობაში ჩავედით. სხვათაშორის, არგენტინაში ყველა მატარებელს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სახელგანთქმული გენერლების სახელები ჰქვია. ჩვენს ზანზარა, მაგრამ საკმაოდ მკვირცხლად მიმავალ მატარებელს „გენერალი მიტრე“ ეწოდებოდა. დამტვერილი „გენერალ მიტრედან“ ავტობუსში გადავჯექით და კრუს დელ ეხეს კამხალის დასათვალიერებლად მთაგრეხილ კომინჩინგონესაკენ გავემგზავრეთ.

პატარა ქალაქ კაპილია დელ მონტესთან, რაც ნიშნავს — „სამლოცველო მთებში“, პატარა სატვირთო ავტომანქანამ გაგვისწრო, რომლის ძარაშიც გაურანდავ ფიცრებზე ისხდნენ ახალგაზრდა არგენტინელები ალისფერ მაისურებსა და მწვანე ტრუსებში. კაბინის თავზე აბრეშუმის დროშა ფრიალებდა. დროშაზე გამოსახული იყო წმიდა გიორგი ზეაწეულ ხელში შუბით, რომელიც გველეშაპს ჰკლავს. ეს გამოსახულება, როგორც შემდეგ მოგვიანებით გავიგეთ, ქალაქ კაპილია დე მონტეს ღერბი ყოფილა.

ახალგაზრდები გიტარაზე უკრავდნენ და მკერდისმიერი ხმით არგენტინულ ლირიკულ სიმღერებს გაჰყვიროდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ სატვირთო ავტომანქანის უკან გამოჩნდა პატარა ავტობუსი, რომლის ფანჯრებიდან გიტარისა და ბანჯოს აღგზნებული ჰანგები მოისმოდა.

როგორც კი ავტობუსი გაგვისწორდა, ტრადიციულად მივესალმეთ:

— ბუენ ვიახე! — კეთილი მგზავრობა!

ასი კილომეტრის სიჩქარით მივქროდით (ყველაზე მინიმალური სიჩქარე ყველაზე ნაკლებთავმოყვარე არგენტინელი მძღოლისათვის). ამის მიუხედავად, მაინც გავაბით საუბარი ავტობუსის მგზავრებთან. საუბარი ცოტა გაგვიძნელდა, რადგან ცივ პამპეროს — ანტარქტიკიდან მონაბერ ქარს — სიტყვები განზე მიჰქონდა, მაგრამ, მაინც გავარკვიეთ, რომ სატვირთო ავტომანქანაში მსხდომნი ქალაქ კაპილია დელ მონტეს ფეხბურთელები არიან, რომლებიც მეზობელი ქალაქის ლა ფალდას ფეხბურთელებთან სათამაშოდ მიემგზავრებიან.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — ვკითხეთ ავტობუსის მგზავრებს.

— ჩვენ კომპანიოროსები ვართ! — ამაყად გამოგვძახეს ფანჯრიდან.

ერთი სიტყვით, ავტობუსით მიემგზავრებოდნენ ფეხბურთელთა გუნდის მორალური რეზერვები — გულშემატკივრები.

— ფრანსისკო ბლანკო არ ვიყო, — ამაყად წამოიყვირა ავტობუსის ფანჯრიდან ჰალარაულვაშიანმა გულშემატკივარმა, — თუ კისერი არ მოვუგრიხოთ ლა ფალდელ ყოყოჩებს.

ლა ფალდაში რომ ჩავედით, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ქალაქი ევაკუირებულიაო: მაღაზიები დაეკეტათ, რესტორნები არ მუშაობდნენ, საქათმის ქანდარის მსგავსი პოლიციელთა მაღალი ჯიხურებიც დაცარიელებულიყო. როგორც ჩანდა, წესრიგის დამცველნიც კი სტადიონზე წასულიყვნენ. ეს რომ მომხდარიყო კონკვისტების დროს — სამხრეთ ამერიკაში ესპანეთის ლაშქრობისას — ყოველ გუდამშიერ მოყვარულ კონკვისტადორს შეეძლო ნახევარ საათში გაეძარცვა და დაეპყრო დაცარიელებული ქალაქი.

ღია იყო მხოლოდ ქალაქის ტაძარი, საიდანაც ორღანის ხმები მოისმოდა. ტაძარში შევიხედეთ. ლა ფალდელი თერთმეტი ფეხბურთელი და რამდენიმე სათადარიგო მოთამაშე მუხლმოდრეკით გამოსთხოვდა ღვთისმშობელს ზეგარდმოვლენილ გამარჯვებას კაპილია დელ მონტელ დაუძინებელ მტრებზე. ჩასუქებულმა მოძღვარმა აიაზმა ასხურა ტყავის ბურთს, რომელსაც ესპანურად „პელოტა“ ჰქვია.

მარმარილოს ღვთისმშობელს წყალობის თვალი მიეპყრო ლოცვის ექსტაზში გარინდული ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის. ეს იყო მოკრძალებული პროვინციელი ღვთისმშობელი დიდი-დიდი ლეიტენანტის ჩინით.

მოითმინეთ, მოითმინეთ! ღვთისმშობელი ლეიტენანტის ჩინით? გიკვირთ? ხომ არ შეგვეშალა? — სრულებითაც არა! არგენტინელისათვის აქ არაფერია გასაკვირი. საქმე ისაა, რომ არგენტინაში ზოგიერთი კათოლიკური ტაძარი განიცდის დიდ უსახსრობას. მთავრობა დახმარების ხელს უწვდის ხოლმე მათ და ღვთისმშობლებს... ანიჭებს სამხედრო წოდებას კუთვნილი ხელფასის მიცემით. მაგალითად, ქ. ფორმოსოს ქალწულ მარიამის ხატს ოფიციალური დეკრეტით მიანიჭეს არგენტინის არმიის გენერლის ჩინი, გადასცეს სამხარიდლიე და დაუნიშნეს რეგულარული ხელფასი — წელიწადში ორმოცდაათი ათასი პესო — სამხედრო სამინისტროს ანგარიში...

მაშ ასე, მოკრძალებულმა პროვინციელმა ღვთისმშობელმა დალოცა ფეხბურთელთა გუნდი. ახალგაზრდები წამოდგნენ და სტადიონისაკენ გაემართნენ.

სტადიონის ახლოს კაპელია დელ მონტედან ჩამოსული კომპანიოროსები უკვე გადმოდიოდნენ ავტობუსიდან. მხნე სიმღერებით გადმოიტანეს გულშემატკივართა მთელი აღჭურვილობა: ტკაცუნები, ვირის ტყავგადაკრული დოლები, ვეებერთელა გამომშრალი კვახები და გენერალ-ბასის მსგავსი დიდი სპილენძის საყვირები. ფრთხილად, მალულად გადმოათრიეს პატარა ტომრები, რომლებშიც იყო, როგორც ეს ყოვლისმცოდნე ბიჭებმა გვაცნობეს, ახლო ბრძოლის იარაღი: ნაძვის გირჩები, დამპალი ბანანები და, ვინ იცის, კიდევ რა, რასაც მოკლე დისტანციაზე ტყორცნისათვის იყენებენ.

ლა ფალდას სტადიონი, რასაკვირველია, არ ჰგავდა დედაქალაქის სტადიონ „ბონბონიორას“. არსებითად ეს იყო მაღალი ხეებით არაუკვარიებით — გარშემორტყმული ჩვეულებრივი მინდორი, აქ არც ტრიბუნები იყო, მათ მაგივრობას ეწეოდა ხის ტოტები, რომლებზეც ადგილებს იკავებდა ლა ფალდას ჭაბუკი მოსახლეობა, უფრო მოზრდილებს თან გასაშლელი სკამები მოჰქონდათ (ერთი ნახევრადპარალიზებული მოხუცი სავარძლით მოაგორეს). საშუალო ასაკის მოსახლეობა მჭიდროდ შემორტყმოდა ეკლიანი ალამბრადოთი შემოღობილ ფეხბურთის მოედანს.



(გაგრძელება იქნება)

## ყოველი კუთხიდან

**რომი.** გამოჩენილი იტალიელი მოკრივე ბენვენუტი (საშუალო წონა) რომში შეხვდა ამერიკელ ჯონსს. მატჩი იტალიელის უპირატესობით მიმდინარეობდა, რომელმაც რამდენჯერმე „გაისტუმრა“ მეტოქე ნოკდაუნში. მე-6 რაუნდში შეხვედრა დამთავრდა ბენვენუტის გამარჯვებით.

**გდანსკი.** აქ გაიმართა ორი საერთაშორისო შეხვედრა ლაიპციგის „დინამოსა“ (გდრ) და გდანსკის ნაკრებ გუნდებს შორის. ორივე მატჩი მოიგეს პოლონელებმა ანგარიშით —17:3 და 13:7.

**სოფია.** აქ გაიმართა ბულგარეთისა და რუმინეთის მოკრივეთა გუნდების მატჩი, მატჩი დამთავრდა ბულგარელთა გამარჯვებით — 14:6.

**ვარშავა.** აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა პოლონეთისა და ფინეთის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდებს შორის, გაიმარჯვეს პოლონელებმა.

## ფეხბურთის ქრონიკა

როგორც ვიტყობინებოდით, ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა თავისი დიდი წარმატების შემდეგ მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში, დამარცხება განიცადა ბრიუსელში ბელგიის ნაკრებისაგან — 0:4. ბულგარელებმა ამ დღეებში ნაწილობრივ რეაბილიტაციას მიაღწიეს და დაამარცხეს ბელგიის ჩემპიონი „სტანდარდი“ (ლიეჟი) — 2:0.

უნგრეთის ეროვნულმა ნაკრებმა თავისი ბოლო მატჩი ჩაატარა ურუგვაიში. უნგრელები მონტევიდეოში შეხვდნენ ურუგვაის ჩემპიონს — „პენიაროლს“.

თამაში დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით — 4:3.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის —3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05737